№ 145

ხუთშაბათი, 9 ივლისი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 145

ხუთშაბათი, 9 ივლისი, 1898 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა [illegible]

ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**

და განცხადებათა დასაბეჭდად

უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

მსურს იჯარით ავიღო სახლი

ქ. ტფილისში

ერთისა ანუ რამდენისამე წლით

იჯარით სახლის გაცემის მსურველმა მიაკითხოს „ივერიის" რედაქციას. (5—უ.—2)

საკომერციო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მერვიდმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1898—9 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3), ბუხჰალტერია (მარტივი, ორ-კეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ წერა და წერა გაკრული და შნოიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდგან, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და მთის ქუჩაზედ, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს ს. ზ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—9)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ე. მ ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკურნალი-ქალი. ა. ი. რუდენკო. 10 1/2—11 1/2 საათ. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფ. მსურველთ ყვავილს აცრის.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 11 1/2—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

ი. თ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულით ავადმყოფებს.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—1 1/2 საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. 1 1/2—2 1/2 ს. შინაგანი, და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ბ. ა. ნავასარდიანი—6 1/2—7 საათ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), ვენერიულ და კანის სნეულებას.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (წ)

ვკისრულობ

ტაქსაციას და დაფასებას ტყეებისა, დაფასებას სოფლის მამულის წარმოებისა,

პლანების აღებას და ნიველიროებას.

ალექსანდრე გრიგოლის ძე სნეჟკოვი. ლაბორატორიის ქუჩა, სახლი № 26.

ტელეფონი № 567.

(50—80—46).

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძათ კაპიტნობა—გრენადერთა გრუზინსკის მე-14 რაზმის შტაბს-კაპიტანს თავად მაჩაბელს: შტაბს-კაპიტნობა: იმავე რაზმის პორუჩიკს გამყრელიძეს, ტფილისის მე 15 რაზმის პორუჩიკებს თავ. თარხან-მოურავს და თავ. ვაჩნაძეს. პორუჩიკობა—მინგრელიის მე-16 რაზმის პოდპორუჩიკებს ჩხეიძეს, ივანე საგინაშვილს და დიმიტრი საგინაშვილს; შტაბს-კაპიტნობა: ყაბარდინის მე-80 რაზმის პორუჩიკს ხმალაძეს, ბაქოს მე 153 რაზმის პორუჩიკებს თავად ანდრონიკაშვილს და ჯაფარიძეს; პორუჩიკობა-კავკასიის მე 2 მსროლელთა დრუჟინის პოდპორუჩიკს თავ. თუმანიშვილს; კაპიტნობა-იმავე დრუჟინის შტაბს-კაპიტანს ანთაძეს; პორუჩიკობა-იმავე დრუჟინის პოდპორუჩიკს ხუციშვილს; შტაბს-კაპიტნობა-ფოთის ზურგის რაზმის პორუჩიკს ქორქაშვილს; პორუჩიკობა—გორის ზურგის ჯარის პოდპორუჩიკს ქართველიშვილს; კაპიტნობა—გროზნის რაზმის შტაბს-კაპიტანს წიკლაურს; პორუჩიკობა: ასლანდუზის რაზმის პოდპორუჩიკს კახიანს და მიხეილის ციხის ქვეითა ბატალიონის პოდპორუჩიკს ელიოზიშვილს.

დანიშნულ იქმნა აბასთუმნის სამხედრო საავადმყოფოს მთავარი მკურნალი, სტატსკი სოვეტნიკი კოპაძე—აბასთუმანის სამადნო წყლების დირექტორად, ისე-კი, რომ წინანდელ თანამდებობაშიაც დარჩეს.

## ახალი ამბავი

*** ამ დღეებში ტფილისს ჩამოვიდა ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თავ. ს. გ. წერეთელი.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ რუსულს მწერლობაში ცნობილს ქ-ნ დუბროვინისას უთხოვნია მთავრობისთვის—ნება-რთვა მომეცით ბაქოში რუსულს ენაზედ ახალის გაზეთის გამოცემისა—სახელად „ბაქოს ფურცელიო". ამ ნება-რთვის მიცემა დამოკიდებულია ეხლა კავკასიის მთავარ-მართებელისაგან, რომელსაც ამ საქმის შესახებ დაეკითხნენ პეტერბურგიდგან.

## ფელეტონი

### ჩაის ბუჩქი

ვ. ფრეისა

1638 წ. 20 სექტემბერს, ის იყო მზემ ამოანათა თავისი სხივები, წითელი მოედანი და მასთან მდებარე ქუჩები ისე სავსე იყო ხალხით, რომ შიგ ნემსი არ ჩავარდებოდა. მიზეზი ესე ადრიანად ხალხის შეკრებისა ის იყო, რომ ხმა გავრცელებულიყო, მეფის საგანგებო ელჩს ვასილ სტარკოვს ალტინის ხანებისაგან მოსკოვის მეფისათვის არა-ჩვეულებრივი საჩუქარი მოაქვსო. საყოველთაო განცვიფრება, რადგან მარტო ელჩის დახურული ეტლისა, ვერცხლის ჯაჭვით გაღაჭირებულ და ოქროში მოვარაყულ თვლებიანისა, და ერთის კიდევ იმის უკან მიმავალ უბრალო ურმისა, რომელზედაც ეწყო ორი რაღაცით სავსე ტომარა, მეტი არავის არ დაუნახავს რა. არც ისინი იყვნენ დიდად ბედნიერნი, რომელნიც სანახავად მეფის სრა-სასახლეში მისულიყვნენ ელჩის მიღების დროს. ელჩმა მეფეს მიართვა პატარა ქაღალდის პარკი, რომელშიაც აღმოჩნდა რაღაც თეთრ-მომწვანო ფხვიერი მარცვლები და მოახსენა, რომ ამ მარცვლებიდგან მზადდება ჩინებული სასმელი, რომელიც ძლიერ უყვართ იმ ქვეყნის ხალხს, საიდგანაც დავბრუნდიო. ელჩის სიტყვებზედ ყველას ღიმილი მოუვიდა, რადგანაც მოსკოველებს ქაფიანის თაფლისა და კაპარის (брага) გარდა სხვა სასმელი არა მიაჩნდათ რა. შემდეგ ჩინეთში ელჩად იყო გაგზავნილი ბერძენი ნიკოლოოზ სპათარი, რომელმაც დაბრუნებისას ვრცელი თხზულება დასწერა თავისის მოგზაურობის შესახებ და დაწვრილებით აღწერა ჩაის მცენარე, ჩაის მომზადება და მისი ხმარება. ჩინელები, სწერდა იგი, ძლიერ აქებენ ჩაის და ისე უყურებენ, როგორც ყუათიან სასმელსა და წამალს. ჰსვამენ ყოველ დღე და სტუმრებსაც იმითი უმასპინძლდებიან. სპათარი იმითი აბოლოვებდა, რომ თითონ მეც გამომიცდია ჩემს თავზე ჩაის კარგი თვისება და როდესაც კაცი მიეჩვევა ამ სასმელს, მაშინ უფრო სიამოვნებით ჰსვამსო. სპათარის თხზულებამ გავლენა იქონია მაშინდელ რუსეთის საზოგადოებაზედ და უცხოელმა სასმელმა ნელა ნელა გზა გაიკაფა, ისე რომ 1674 წ. მსურველთ შეეძლოთ ჩაის ყიდვა მოსკოვის ბაზარში, გირვანქა არა მომატებულად ექვსის შაურისა. მარტო XIX საუკუნის დასაწყისში ჩაიმ იქამდის დაიმსახურა საყოველთაო ყურადღება, რომ მისი ხმარება ერთნაირად გავრცელდა ყველა წრესა და წოდებაში. როგორც ჩაის ხმარება ვრცელდებოდა, ისე ჩაი ფასად მაღლა იწევდა, ასე რომ ახლა გირვანქა ორ მანათიანზედ ნაკლები ჩაი არც კი დაილევა.

ჩინეთში, რომელიც ნამდვილი სამშობლოა ჩაისა, მე-VI საუკუნიდგან გავრცელდა ჩაის ხმარება. ჩინელები ჩაის სამღვთო-განმკურნებელ სასმელადა სთვლიან. ჩინელს რომ ჰკითხოთ დრო ჩაის გაჩენისა, იგი ჩაის ბუჩქის შესახებ შემდეგს ზღაპრულ თქმულებას მოგითხრობთ: „წინად, ძლიერ წინად, როდესაც წმ. განდეგილები სცხოვრობდნენ და ყოვლად შემძლებელი ბუდდა *) ჰფენდა მათ თავისს მოწყალებას დიდებულის სასწაულებით, ჩინეთში ყველაზედ ღვთის მოყვარე დარმა იყო, ანუ თამო. დარმა ერთხელ ეღირსა ბუდდას ნახვას და ამ შემთხვევით გახარებულმა მოუფიქრებელი აღთქმა მისცა, რომ იგი მთელს თავისს სიცოცხლეს ყოველ დღე და ღამეს ლოცვაში გაატარებდა. მართლაც-და, დარმა დიდხანს ითმენდა უძილობას, ღრმა სიბერემდის მიაწია და რომ შეწუხდა მეტის-მეტად უძილობისაგან, ერთხელ თავის და უნებურად დაეძინა. როდესაც გამოეღვიძა საშინლად განრისხდა თავის თავზედ, ფიცის გატეხად, აღთქმის გარდავლად მიიჩნია ეს საქციელი და რომ შემდეგ შეცოდებაში აღარ შესულიყო, მოიჭრა თვალის ქუთუთოები და მიწაზედ დაჰყარა. ამ დროს დარმას კიდევ გამოეცხადა ბუდდა, რომელმაც ქუთუთოებს ფეხი დაადგა და მაშინვე ქუთუთოებიდგან გაიზარდა ჩაის ბუჩქი. ბუდდამ უბრძანა დარმას ჩაის ბუჩქის ფოთლები ეხმარა, როგორც უკეთესი საშუალება ძილის წინააღმდეგ." ამ ნაირად ჰხსნიან ჩინელები ჩაის გაჩენას თავისს ქვეყანაში. მაგრამ ჩაის ჩინეთში განმკურნებელ სასმელად სთვლიან მე-V საუკუნიდგან, როდესაც ერთი ჩინეთის იმპერატორთაგანი ჩაის მეოხებით სასწაულებრივ განიკურნა თავისის სატკივრისაგან.

ჩაის მცენარე უფრო ბუჩქს წააგავს, ვიდრე ხეს. ჩაის ხეს ჩინელები წვერებს აკვეცენ და მაღლა არა ჰზრდიან, რადგანაც დაბალის ბუჩქიდგან უკეთესის ღირსების ჩაი დგება და ფოთლებიც ადვილად დასაკრეფია. ჩაის მცენარე თავის ნებაზედ გაიზრდება სამ საჟენამდის და უფრო მომეტებული. ჩაის სთესენ გვერდობებზედ მზის გულისაკენ და ეს გვერდობები მშვენიერი სანახავია, როდესაც ჩაის ბუჩქები ჰყვავის. ჩაი მეტის მეტად ნაზი მცენარეა, ვერც დიდს სიცივეს იტანს, ვერც დიდს სიცხეს და ვერც ცუდს მეზობლობას. ჩაის ბუჩქებ შუა, შიგა და შიგ ჰრგავენ ვარდებს, სურნელოვან ზეთის ხილის ხეებს და სხვას. ჩაი რომ ნაზი მცენარეა, შემდეგი მაგალითიდგანაც მტკიცდება. პეტერბურგის ბოტანიკის ბაღში, სადაც მოჰყავთ ყოველ ნაირის ჯიშის ნაზი მცენარე, ბევრნაირად სცადეს და ჩაის ბუჩქი ვერ აზარეს. ჩაის ფოთლებს ჰკრეფენ, როდესაც მცენარე მეოთხე წელში გადადგება. პირველი მოკრეფა თუმცა ძლიერ ცოტა ფოთლებს იძლევა, მაგრამ ამ ფოთლებიდგან კარგის ღირსების ჩაი დგება. ყველაზედ ნაზი ფოთლები იძლევა ეგრედ წოდებულ იმპერატორის ჩაის, რომელიც არ გააქვთ გასასყიდად. იმპერატორის ჩაის ამზადებენ გაუშლელის ფოთლებისაგან და ჰკრეფენ იმ წამსვე, როდესაც კოკორი გადიშლება და გამოუშვებს ნემსებსავით მოგრძო თეთრ ხაოიან ფოთლებს. რასაკვირველია, ასეთი საუკეთესო ღირსების ჩაი უბრალო სიკვდილის შვილთათვის ხელ-მიუწვდენელია, იმასა ჰსვამენ ზეცის შვილები (ჩ. მეფეები) და დამსახურებული მანდარინები. ჩაის აქვს ყვავილი ან სრულიად თეთრი, ან ფერ-მკრთალის ვარდის ფერი; ამასა ხმარობენ დამზადებულ ჩაისათვის სურნელების მისაცემად, ან მისგან აკეთებენ კეთილ-სურნელოვან სანთლებს ტაძრებში სახმარებლად.

დასავლეთს ჩინეთში დაბალის ღირსების ჩაი მოდის, ხოლო აღმოსავლეთისაკენ კარგის ღირსებისა, ეგ-

*) ჩინელების ღმერთი.

*** 6 ივლისს, ნაშუადღევის 3—4 საათზედ ქალაქის გამგეობის სახლთან ქალაქისავე ინჟენერს მუხარინსკის დაუხვდა იჯარადარი კობიაშვილი, რომელსაც შარშან იჯარითა ჰქონდა აღებული ხიდის გაკეთება ქალაქის საყასბოსაკენ. კობიაშვილს თურმე ფული ერგებოდა 100 მანათზე მეტი, ტეხნიკის წურინოვის გამოანგარიშებით, მაგრამ მუხარინსკი ამ ფულს არ აძლევდა. კობიაშვილსა და მუხარინსკის ამ ფულის თაობაზედ ლაპარაკი მოუვიდათ და კობიაშვილმა მუშტი შემოჰკრა. მუხარინსკი დაეცა ქვა-ფენილზედ და თავი გაიტეხა. დაშავებული სამკურნალოში წაიყვანეს.

*** მთავარს მეთვალყურეს მთელის რუსეთის სამრევლო სკოლებისას ბატონს შემიაკინს შეუნიშნავს, რომ იმ სკოლებში, სადაც „Русское Слово"-ს ჰხმარობდნენ ისე, როგორც ამ წიგნის მეთოდიკა მოითხოვს, ჯეროვანი ნაყოფი მოუტანია სწავლებას რუსულის ენისას, ხოლო სადაც სხვანაირად უხმარნიათ ეს სახელმძღვანელო, იქ სუსტნი აღმოჩენილან მოსწავლენი რუსულს ენაში. ამის გამო ბატონს შემიაკინს მოუხდენია განკარგულება, რომ „მეთოდიკა" Русское Слово-სი გაეგზავნოს ყველა მასწავლებელს შესასწავლად. ამ განკარგულების თანახმად, ტფილისის საეპარქიო საბჭოს ამას წინად უყიდნია ასი ეგზემპლიარი მეთოდიკა და დაურიგებია ყველა მასწავლებლებისათვის, რომელნიც-კი კურსებზედ მოწვეულნი არიან და ვარჯიშობენ. გურია-სამეგრელოს სკოლებისათვისაც დაუბარებია ამ დღეებში ორმოცდა-ათი ცალი მეთოდიკა ადგილობრივს საეპარქიო საბჭოს.

*** ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ ამ დღეებში ვიღაცამ ცეცხლი წაუკიდა და დასჭრა მცენარეები ტფილისის საბალოსნო სასწავლებელში. გუმანი მიიტანეს ამავე სკოლის 10 მოწაფეზედ, მაგრამ პოლიციამ ჯერ ვერ გამოიკვლია, ვინ არის დამნაშავე. აქ უცნაური ის არის, რომ ეს ათივე მოწაფე სასწავლებლიდგან დაუთხოვნიათ, თუმცა დამტკიცებული არ არის, რომ სწორედ ისინი არიან დამნაშავენი. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების რამდენსამე წევრს უთხოვნია ამავე საზოგადოების საბჭოსათვის—საგანგებო კრება დანიშნეთ ამ ამბის განსახილველადაო.

*** მისს მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესის საქართველოს ექსარხოსის ფლაბიანეს განკარგულებით სიონის საეკკლესიო მუზეის კამიტეტის თავმჯდომარედ დამტკიცებულ იქმნა ყოვლად-უსამღვდელოესი, ეპისკოპოსი ლეონიდი და მუზეის გამგედ მ. ჯანაშვილი.

*** გუშინ დაამთავრა მუშაობა იმ კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ქალაქის უძრავ მამულების დაფასება. დღეიდგან სახლის პატრონთა საჩივარი, თუ მიაჩნიათ, რომ უსამართლოდ იქმნა დაფასებული იმათი სახლი, აღმასრულებელ კომისიას უნდა წარუდგინონ.

*** სამხედრო სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ კავკასიაში დაარსებულ იქმნას განსაკუთრებული სახლი იმ მოხუცებულ ჯარის კაცად ნამყოფთა მოსათავსებლად, რომელნიც ადგილს ვერ იშოვნიან ხოლმე სხვა საქველ-მოქმედო დაწესებულებაშიო.

*** ტფილისის სამოსამართლო პალატასთან არსებულ მამულების გამიჯვნის საკრებულოს მამულების გამიჯვნის რევიზორს ათაბეგოვს მიენდო ტფილისის ოლქის მამულების გამმიჯვნელთა სამუშაოს ადგილობრივ შემოწმება.

*** ამ ახლო მომავალში რუსეთის საგეოგრაფიო საზოგადოება გამოჰგზავნის პეტერბურგიდგან კავკასიაში საგანგებო ექსპედიციას ბ-ნის პოგგენპოლისას, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს კავკასიის საყინულეები.

*** მოსკოვის რამდენსამე ფარმაცევტს განზრახვა აქვს იმოგზაუროს კავკასიაში პრივატ-დოცენტის გოლენკინის ხელმძღვანელობით.

*** ამ ჟამად განიზრახეს ხელ ახლად გადაათვალიერონ რუსეთის რკინის გზებით სამოგზაურო ფასის წესდება და რაიმე ცვლილება შეიტანონ. ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობამ ამ საქმის გამო ის აზრი გამოსთქვა, რომ სამოგზაურო ბილეთების ფასი მცირე მანძილისა უნდა დაკლებულ იქმნას ვაჭრობა მრეწველობის გავრცელების ხელის შესაწყობადაო. ამას გარდა, გამგეობა საჭიროდ სთვლის სააბონემენტო ბილეთების ხმარებას დიდს სადგურებს შუა სამოგზაუროდ.

*** მოგვყავს შემდეგი ცნობები საქარის სანერგესა და ინსტრუქტორის მოქმედების შესახებ. საქარის სანერგემ ორ ადგილას მოაწყო მამული ჯეროვან წეს-რიგზედ, სახელდობრ, ოზურგეთის მაზრის სოფ. ბახვის ორ-კლასიან სასწავლებელთან და შორაპნის მაზრის სოფ. ქალაში. მოსწავლე მუშებმა სულ ადვილად შეისწავლეს აბრეშუმის ჭიის მოვლა-მოშენება და ის, თუ როგორ უნდა გაიგოს კაცმა, რომელის სენით არის ავად ესა თუ ის ვაზი. ამ ბოლო დროს დიდად მიჰყვეს ხელი ვენახების წამლობას, რადგან ხალხმა უკვე შეიგნო წამლობის სარგებლობა. სხვათა შორის, ამ საგნების საბაჟო გარდასახადის გაუქმებამ, რომლებიც საჭიროა ვაზების საწამლებლად, აგრე რიგად არ იმოქმედა ფასის დაკლებაზედ. ამას გარდა, შაბიამნისა და სხვა საგნების გამოწერა ბათუმის დამოჟნის წყალობით ისეთ ნაირად არის გაძნელებული, რომ იმათი გამოწერა მარტო დიდ ვაჭართ თუ შეუძლიანთ, თორემ სხვას არავის. ამ უსიამოვნების თავიდგან ასაცილებლად ინსტრუქტორმა ბ-ნმა ჟანმა დ. ონში გაჰმართა საწყობი, სამის განყოფილებით ლეჩხუმის მაზრაში, მსურველთა მიერ ყოველგვარ იარაღების ნაკლებ ფასად შესაძენად.

*** განჯიდგან დეპეშით სწერენ გაზ. „ახ. მიმ.", რომ 7 ივლისს სამხედრო სასამართლოს დროებითმა განყოფილებამ ცნობილ ავაზაკს სოიუნს ჩამოხრჩობა მიუსაჯა. სასამართლომ საქმის განხილვას 4 დღე მოანდომა.

*** ქიზიყი. სამის წლის უმოსავლობით დიდად შეწუხებულს ხალხს წელს საკმაო მოსავალი მოსდის სულადისა, მაგრამ ვაჭარ-ჩარჩებ მოვახშეების გასახარად: ახალის კანონით ეკრძალებათ ვაჭრებს სულადზედ ვაჭრობა, ბ-ნმა მაზრის უფროსმაც და ბოქაულებმაც წინა დღითვე გამოუცხადეს სოფლებს: თქვენი დამღუპავი ვაჭრები არ გაუშვათ კალოებზეო, მაგრამ ჩარჩ-ვაჭრებმა უკვე დაიჭირეს კალოებზედ სადგურები. საჭიროა სასტიკი ყურადღება მიაქციონ, ვისიც ჯერ-არს, ვაჭრებისაგან ამ ახალ კანონის მასხარად აგდებას. დიდად და დიდად საჭიროა აგრეთვე ამ ზაფხულს მაინც კრება მოახდინოს რამდენჯერმე საზაფხულოდ შინ მოსულმა ქიზიყის ინტელიგენციამ და მხნე მეცადინეობით განახორციელოს ის დიდი საქვეყნო კოოპერატიული საქმე, რომელიც ქიზიყელთა მილიონების მატყლს, თამბაქოს და სულადს (პურს, ქერს, ფეტვს, სიმინდს) დაიხსნის იმ მსხვილფეხა ვაჭრებისაგან, რომელნიც ხალხის ნაშრომ-ნაღვაწის ბზის ფასად ყიდვის წყალობით კავკასიის როტშილდები გამხდარან, ხოლო ხალხიკი მესამლესავით უკან უკან მიდის ქონებითაცა და გონებითაც. აი, დაიწყო კალოებზედ ლეწვა—და ბზის ფასად უწონავენ ათას ურმობით სულადს ქიზიყელები „ფოდრიადჩიკ"-ოთაროვებს მაშინ, როდესაც საზოგადო ამბარ-საწყობების წყალობით ხალხივე მისცემდა სულადს ჯარსაც, გზა ტკეცილის სადგურებსაც და თვით ხალხსვე დაჰრჩებოდა ყოველ წლივ რამდენიმე ათასი თუმანი მოგება. თუ რა დიდად სავალალო მდგომარეობაშია დღეს ქიზიყის მილიონების სულადი, მატყლი, თამბაქო და რა ენით აუწერელს სიკეთეს შესძლვნიდა მთელს ქიზიყს საზოგადო-სამეურნეო ამბარ საწყობების დაარსება—ყველა ეს და მათ განსახორციელებლად თანხა-კაპიტალის მოპოების საშუალება დაწვრილებით აქვს აღწერილი დ. მაჩხანელს წარსულ წლის „ივერიის" ხუთს ფელეტონში: „აი საქმე თუ გვინდა". კვლავ ვიმეორებთ, დიდად და დიდად საჭიროა ქიზიყის შინ მობრუნებულმა ინტელიგენციამ ამ ზაფხულს მაინც მოიკრიბოს რამდენჯერმე თავი ამ დიდ-საქვეყნო საქმის განხორციელებისათვის.

*** ტფილისის მაზრის სოფელ სამშვილდის მცხოვრებმა მ. არუთინოვმა მძიმედ დასჭრა თოფით მარჯვენა საფეთქელში ამავე სოფლის მცხოვრები ივანე ლაზარაშვილი.

*** დუშეთის მაზრის სოფელ ორხევის მცხოვრებმა მ. ხოლოტაშვილმა ხანჯლით შვიდ ალაგას დასჭრა სოფელ წინუბანის მცხოვრები კ. ხუბიაშვილი. ხუბიაშვილის გადარჩენა საეჭვოა.

*** უსინათლოთა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილება ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ 1898 წლის 1 ივნისისათვის განყოფილებას კასსაში ჰქონდა 48361 მან. 67 კაპ., ივნისში განყოფილებას შემოუვიდა 16007 მან. $32^1/_2$ კაპ. იმავე თვეში დაიხარჯა 17888 მან. 84 კაპ., 1 ივლისისათვის განყოფილებას დარჩა

---

რედ წოდებული „ბაიხოვის" ჩაი, რომელიც წარმოსდგება ჩინურის სიტყვიდგან „ბაი"—თეთრი, რადგანაც ცოტაოდენს ნორჩს ფოთლებს მოთეთრო ფერისას ურევენ ხოლმე ჩვეულებრივ შავს ჩაიში. ყველაზედ უმაღლესის ხარისხის ჩაი მოდის „ვუის" მთაზედ, ბოგეას მაზრაში. 23 მარტი ჩინელებისათვის ბედნიერი დღე არის. ამ დღიდგან იწყებენ ჩაის ფოთლების კრეფას. იმისდა მიუხედავად, რომ დღიური მუშის ფასი ერთი აბაზია, მუშები მოწიწებით, თითქოს მღვდელ-მოქმედებისათვის, ემზადებიან ხოლმე ჩაის ფოთლების მოსაკრეფად. სუფთავდებიან, იბანენ ხელებს, იცვამენ სუფთა ტანისამოსს და ყველა სხვა გარეშე სუნი სასტიკად განდევნილია; მაგალითად, მუშებს არ შეუძლიანთ ხახვის ჭამა, რაც ჩინელისათვის დიდად საყვარელს საჭმელს შეადგენს. დილიდგან საღამომდის მუშები ხელში მაღალის ჩალის კალათებით დადიან ჩაის ბუჩქებთან და მწვანე და ნორჩს ფოთლებსა ჰკრეფენ. ამ ფოთლებიდგან და არა ჩაის ყვავილებისაგან, როგორც ჰგონიათ ზოგიერთებს, ამზადებენ ჩაის. ფოთლების დაკრეფა ბევრს ხანს ინდომებს მუშას, კარგი გამოცდილი მუშა უნდა იყოს, რომ დღეში ათი-თორმეტი გირვანქა ფოთოლი მოაგროვოს. დაკრეფილს ფოთლებს მზეზედ აშრობენ კარგად, რამდენჯერმე ხელით ურევენ და გაშრობილს ჰყიდიან ვაჭრებზედ. ამ ნაირად გამშრალ ჩაის ფოთლებს არც სუნი აქვს და არც გემოვნება ჩაისა; ამიტომ ვაჭრებს მიაქვთ ჩაი ჩაის ქარხნებში, სადაც კიდევ ხელ მეორედ აშრობენ, არჩევენ სხვა-და-სხვა ხარისხად, მერე ცეცხლზე ჰხრაკვენ ერთხელ, ან რამდენჯერმე; იმისაგან არის ეს დამოკიდებული, მწვანე ჩაი უნდა მოამზადონ, თუ შავი. გამხმარს ჩაის ფოთლებს ჰსცრიან, ჰღებავენ, ასურნელოვანებენ და მერე ყუთებში ჩაჰყრიამ ხოლმე, ისე რომ მაისის პირველს რიცხვებში ჩაი გასასყიდად მზად არის. 10 გირვანქა ნედლ ფოთლიდგან $2^1/_2$—3 გირვანქა გამხმარი ჩაი დგება.

რაც შეეხება ჩაის სხვა და სხვა უცნაურს სახელებს, ამას არაფერი მნიშვნელობა არა აქვს, რადგანაც იქვე თავისს სამშობლოში ჩაის 700-800 სხვა-და სხვა სახელი ეწოდება და რამდენათაც ჰშორდება თავისს სამშობლოს, იმდენი ახალი სახელები ემატება ვაჭრების სურვილისამებრ, რომელნიც ერთსა და იმავე ჩაის რამდენისამე სახელით მოჰნათლავენ ხოლმე. ისეთი სხვა-და-სხვა სახოვანი ჩაი, როგორიც არის მწვანე და შავი, მზადდება ერთისა და იმავე ბუჩქიდგან, ხოლოდ განსხვავება ფოთლების მოხრაკვაშია; თუ მწვანე ჩაი უნდათ მოამზადონ, ცოტახანს უნდა ფოთლებს ცეცხლზედ გაშრობა და სხვანაირად შეღებვა, და თუ შავი, მაშინ ხან გამოშვებით რამდენჯერმე უნდა ცეცხლზედ ხრაკვა. დასამტკიცებლად შემიძლიან დავასახელო ჩინეთის მაზრა „ნინჩანი", სადაც წინად ამზადებდნენ მარტო შავს ჩაის და ეხლა, რაკი მოთხოვნილებაა მწვანე ჩაისა, იმავე ბუჩქიდგან სამაგალითოდ ამზადებენ მწვანე ჩაის.

ჩაის რომ სურნელება მიეცეს, სამ ნაწილს ჩაის იღებენ და ერთ ნაწილს სურნელოვან ყვავილებს ვარდისას, ზეთის ხილისას, პომერანცისას, ფორთოხალის ხისას, ჩაის ბუჩქისას და სხ., აწყობენ საგანგებოდ ჩაისათვის გაკეთებულს ქოთნებში რამდენსამე წყებად, სდგამენ ქოთნებს ქვაბში, რომელშიაც ცხელი წყალი სდგას და როდესაც წყალი ადუღდება, ქოთნებს ისევ ამოალაგებენ; მერე შეორთქლილს ჩაის ყვავილებს მოაშორებენ და ისევ ცეცხლზედ გააშრობენ. ამნაირად მიღებული სურნელება ჩაის შეუძლიან შეინახოს ერთის წლიდგან ექვს წლამდე. ამ ბოლოს დროს ჩვენ ველარ ვხვდებით მშვენიერ სურნელოვან ჩაის, რაც აიხსნება იმითი, რომ ჩაის მოთხოვნილება დიდია, მისი წარმოება და ვაჭრობა ძლიერ გაძლიერდა და ჩინელები ბევრს აღარ „ულოლიავებენ" ჩაის, თავს აღარ იწუხებენ ბევრის შრომით. ჩაის რომ სურნელება მიაღებინონ (აკრეფინონ), გარშემო ყვავილებს უწყობენ, ან ყვავილებს პირდაპირ შიგ ჩაიში ურევენ, რაც უფრო საადვილოა და იაფადაც უჯდებათ, მაგრამ ჩაი ამ შემთხვევაში მალე ჰკარგავს სურნელებას.

ოფიციალური სტატისტიკა ჩაის ჰყოფს ორ ხარისხად: ბაიხოვის ჩაი, ანუ ფხვიერი, და აგურისა, ანუ შემაგრებული ჩაი. ვაჭრობაში ფხვიერ ჩაის სხვა-და-სხვა სახელებით იხსენიებენ, მაგალითად: ყვავილოვანი, ყვითელი, საგვარეულო, მწვანე და სხვა, მაგრამ თუ ამ ჩაებს ერთმანეთს შევადარებთ, არაფერს განსხვავებას ვერ ვპოვებთ ერთმანეთში, გარდა მწვანე ჩაისა, რომელიც გაირჩევა სუნით, მწარე და მწკლარტე გემოთი და გარეგანის შეხედულობით.

რაც შეეხება აგურის ჩაის, ამ ჩაის ამნაირად ამზადებენ: ტილოს პარკში ჩაჰყრიან გამხმარს დაბალის ხარისხის ჩაის იმდენს, რომ ერთის აგურის ოდენა გამოვიდეს, 10—15 წუთს პარკს ჩაით სდებენ ორთქლის აუზში, მერე ორთქლით გაჟღენთილ ჩაის მოაპირქვავებენ ხის სახეში, რომელსაც მაგრა დაჰსარქვლამენ, ზედ მძიმე რასმე დაადებენ და 2—3 დღეღამეს ისე იქნება და ბოლოს აგურსავით გამაგრებულს ჩაის ამოიღებენ. აგურის ჩაის დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ტომთა შორის, რომელნიც ერთს ადგილზედ არა ბინადრობენ, მაგალითად, მანგოლიაში, ტიბეთში, შუა აზიაში, ყირგიზებში, კალმიკებში, ბურიატებში და სხვაგან. ყველა ტომი თუმცა სხვა-და-სხვანაირად აკეთებს ჩაის, მაგრამ კეთებაში ერთი საზოგადო ხასიათია დაცული. აგურის ჩაის ჩაჰფშვნიან რძეში, შესდგამენ ქვაბით ცეცხლზედ, უზამენ ერბოს ან ზეთს, მოუკიდებენ ფქვილს, მარილით და პილპილით შეაზავებენ.

კანტონის მაზრებში ჩაის ბუჩქს განგებ თავის ბუნებურს ნებაზედ ზრდიან, სადაც სამ საჟენამდის და უფრო მომეტებულად მაღალი იზრდება, რის გამოც ჩაი დაბალის ღირსებისა დგება, ეგრედ წოდებული thea olepsa, მაგრამ სამაგიეროდ მისი ნაყოფი ბევრს ზეთს იძლევა, რომელსაც საჭმელში ჰხმარობენ, ან კიდევ აგურის ჩაის გასაკეთებლად იყენებენ.

ამ ბოლოს დროს ჩაის კარგის ფოთლებისას პაპიროსს აკეთებენ. ჩაის პაპიროსი ხმარებაში შემოიღეს ინგლისის ქალებმა. იმისს მოწევას პირველში სასიამოვნო გრძნობაზედ მოჰყავს ადამიანი, მერე-კი სხეულის მოდუნება და ძარღვების კანკალი მოჰყვება ხოლმე.

(დასასრული იქნება)

46480 მან. 15½ კაპ. ამ თანხიდგან ტფილისის სახელმწიფო ბანკის განყოფილებაში ინახება 7449 მან. 27 კაპ., იმავე ბანკის შემნახველ კასსაში—1926 მან. 78 კაპ., იქავე %% ქაღალდებით—37105 მან. 13 კაპ. და განყოფილების კასსაში—1 მან. 2½.

## წერილი თელავიდგან

5 ივლისი

აგერ ეს ორი კვირა იქნება, რაც აქეთ დაიწყო ესრეთ წოდებული „პარკობა“. მოაწყდნენ ზაქათლელი სომეხ-ზოკები და მოედვნენ სოფლებს ფულიანი და უფულო—ან როგორც ერთმა მათგანმა სთქვა:—„ვისაც თხუთმეტი მანეთი ჯიბეში აქვს, ისიც-კი პარკსა ჰყიდულობს!“ ერთმანეთს ეჯიბრებიან და ამის გამო ფუთ პარკის ფასმაც თორმეტ მანეთიდგან თხუთმეტამდის აიწია, მაშინ როდესაც შარშან ამ დროს 7—10 მანეთამდე იყიდებოდა ფუთი.

მაგრამ რა გგონიათ, მართლა 15 მან. უჯდებათ წელს ფუთი პარკი? არა. თავიანთის ყალბის საწყავების წყალობით, ნახევრად თუ არა, 9—10 მ. ისვამენ ფუთს. ეხლა სულაც დაიწია პარკის ფასმა (10—13 მ.) უეჭველია იმიტომ, რომ ამ ჟამად გაცხარებული მუშაობა—ყანის მკა აქვს გლეხობას და ფული ძალზედ უჭირთ.

სწორეთ მფარველ ანგელოზობას გაუწევდა ამ დროს და მრავალ ამისთანა შემთხვევაში ჩვენი საეროვნო საალებ-მიმცემო ამხანაგობა, ანუ დაწესებულება. მაგრამ სად არის ჯერ? შარშანაც იყო ამის შესახებ ლაპარაკი აღძრული, მაგრამ, სამწუხაროდ, ლაპარაკი—ლაპარაკათ დარჩა, „საქმე“-კი რუსულ „ზავტრა“-სავით სახვალიოდ გადაიდო. ამასობაში-კი ჩვენს ბეჩავს გლეხობას—ისედაც გაღატაკებულს ცალკე მოუსავლობით, ცალკე ჩარჩ-ბაცაცების „მკრეჭაობით“ ლამის არის სული ამოჰხდეს ცალიერ მჭადა-ქერა პურის ჭამით დაგლეჯილს ფარაჯაში გახვეულს!.. მაგრამ ვინ დაგიდევს იმას, რომ შვ ლა უნდა დავრდომილსა და ბედისაგან დაჩაგრულს.

ტ. მესხელი

## წერილი ახალ სენაკიდგან

5 ივლისი

არა ერთხელ თქმულა და დაწერილა გაზეთებში, ახალ-სენაკელებს სძინავთო. აქ არავითარი თავ-გასართობი დაწესებულება არ არსებობს მას შემდეგ, რაც ბოროტ-მოქმედებმა აქ საზოგადო საკრებულო დარბაზი „კლუბი“ ნაცარ-ტუტად აქციეს. მაგრამ ღმერთმა დალოცოს აქაური მემამულეები თ. თ. მხეიძენი, რომელთა მოთავეობა-გამგეობით წარსულ ივნისის უკანასკნელ რიცხვებში, ე. ი. 27, 28 და 29-ს, ახალ სენაკი სულ სხვა სანახაობას წარმოგვიდგენდა. 28-ს ბურთაობა უნდა ყოფილიყო. ხოლო 29-ს პეტრე-პავლობა დღეს, მარულა გაემართათ. მართლაც 28-ს ჯერ მარულას (დოღი) გამოცდა იყო და ნაშუადღევის სრულს ხუთს საათზე გააგდეს ბურთი. ეს პირველი მაგალითია აქ. ბურთაობაში მონაწილეობას იღებდნენ თავადებიცა, აზნაურებიცა და გლეხებიც, მაგრამ ცოტა არ იყოს ბოლოს სამდურავი ისმოდა, რადგანაც რიგიანად არა ყოფილან განაწილებული, ვის საიდგან უნდა წაეღო „ლელო“.

ამავე ღამეს, ქუთაისის დრამატიულ დასისაგან, კნ. ანეტა მხეიძის გამგეობით და ბ ნ ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით, წარმოდგენილი იქმნა: „თამარ ბატონიშვილი“, ისტორიული დრამა 5 მოქმედ. და 1 მოქმედ. ვოდევილი ვ. ბალანჩივაძისა „უბედური დღე“. 29-ს შუადღის თორმეტ საათამდე დოღი გათავდა, დოღმა დიდად ასიამოვნა საზოგადოება და 25 ცხენში ათი ვერსის (დანიშნული ადგილი) მანძილში პირველი ჯილდო მიიღო ორზოლიას ცხენმა... კვლავ ამავე ღამეს, ამავე დასისაგან საგანგებოდ გაკეთებულ ფარდულში კნ. ან. მხეიძის გამგეობით და ვ. ს. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით დადგმულ იქმნა: „სამშობლო“ ისტორიული დრამა. წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს: ქ-ნთ ჩხეიძემ, ივანიძემ, ჩიქოვანმა გვეტაძემ, ბ-ნთ ალექსი-მესხიშვილმა, ბალანჩივაძემ, ფერაძემ, რიონელმა, ვარდანაშვილმა, ბერიძემ, ჯვარისელმა, ტყეშელაშვილმა, გრ. ჩარკვიანმა, თუთბერიძემ, ალავიძემ, ნემომ, ხმალაძემ, გაბუნიამ და სხვებმა.

მოთამაშეების ნიჭს არ შევეხებით, მხოლოდ გვაკვირვებს, რად უნდა ჰფასობდეს პროვინციებში პირველის რიგის ბილეთები სამ მანეთზედ მეტად? განა 2 მან. 10 კაპ. არა კმარა? ხალხი იმდენი დაესწრო პირველსა და მეორე წარმოდგენას, რომ ვეებერთელა ფარდული ავსებით სავსე იყო. ორისავე წარმოდგენიდგან, როგორც შევიტყვეთ, ათას მან. შემოსავალი ჰქონიათ ხარჯიანათ...

ამ დღის სეირის სანახავად იმერეთ-გურია-სამეგრელოდგან მრავალი ქალ-კაცი იყო აქ ჩამოსული. ერთის სიტყვით, მოხუცებულებსაც არ ახსოვთ ამდენი თავ-მოყრილი ხალხი ახალ-სენაკში. თითქმის მთელი ქალაქი გაჭედილიყო ქალით თუ კაცით, დიდითა თუ პატარით. აქაურის ქალების კაზმულობას, სიფაქიზეს, სინაზეს ხომ ნუღარ იტყვით! ამ ბუნებისაგან უხვად მინიჭებულს სილამაზეს, ამ ეშხით სავსე თვალ-წარბს, მშვენივრად ჩაგრეხილს დალალ-კავს ლაზათს უკარგავს სახის გაგლესვა ფერ-უმარილით. ჰხედავ შორიდგან, მთვარესა ჰგავს ქალი, მიხვალ თუ არა ახლო, შენს მტერს!.. ხელში შეგრჩება უცნაურად გაგლესილი ნილაბი. მაგრამ იცით, რის ბრალია ესა? ლამაზსა და მშვენიერს უფრო ლამაზად და მშვენიერად გამომაჩენსო... ვაი, რა მწარედ სტყუვდებიან ჩვენი „შლიაპოსნები“ და მათი მიმბაძავი „ხანუმები“-ც. ბუნების ლალატი ყველაფერში სიმახინჯეა და აბა სიმახინჯე, ხომ მოგეხსენებათ, რა ხელ-საყრელია!..

დღეობა-ჯარიანობამ სწორედ მხიარულად და უხიფათოდ ჩაიარა. არავითარი ჩხუბი და აყალ-მაყალი, როგორც ამ დროს მოსალოდნელია, არა ყოფილა. ამისი მადლობელნი უნდა ვიყვნეთ მაზრის უფროსის ბ-ნის ი. ქ. ქავთარაძისა და ბოქაულის ტ. ა. ასათიანისა, რომლებიც სულითა და გულით მონდომებულნი იყვნენ, რომ შვიდობიანობა არ დარღვეულიყო.

ეხლა აქ, როგორც ხმა დადის, მომავალ წლის ივნისის თვეში იარმუკობა იქმნება, ღმერთმა ჰქმნას, რომ ეს სიტყვები გამართლდეს, რაც აქაურებისათვის დიდად სასიამოვნოა: სწორედ სირცხვილი-კია, რომ ამოდენა დაბაში ერთი იარმუკობა არ იყოს დაარსებული, მაშინ როდესაც მიყრუებულ სოფლებშიაც-კი არის ხოლმე. იმედია, აქაური მემამულეები იშუამდგომლებენ, სადაც ჯერ არს, იარმუკობის გამართვას ახალსენაკში. წრევანდელ ჯარიანობამ ცოტა ვაჭრობა გაუცხოველა აქაურს მოვაჭრეებს. კარგი ვაჭრობა ჰქონდათ მეფართლეებსა და სურსათ-სანოვაგის მოვაჭრე მიკიტნებსაც...

ტრიფონ კალანდარიშვილი

## წერილი აფხაზეთიდგან

როგორც უკვე უწყის „ივერიის“ მკითხველმა, 2 ივნისს შეღამების ჟამს, ვიღაც ბოროტ განმზრახველმა რევოლვერით მძიმედ დაჰჭრა გუდაუთის ნაწილის უფროსი, ბ-ნი ბესარიონი პავლეს ძე ჩიქოვანი, როცა იგი თავის კანცელარიაში ჰმუშაობდა. ამისთანა საზიზღარმა ბოროტ-მოქმედებამ მთელი ეს მხარე ააღელვა, აღაშფოთა და ზიზღით აღავსო მცხოვრებნი დამნაშავის მიმართ. ვინ იფიქრებდა, რომ ამისთანა საზიზღარ ბოროტ-მოქმედებას გაჰბედავდა ვინმე და ისიც შედარებით ასეთ დაწყნარებულს დროს? აქაური აფხაზები ძალიან შეაწუხა ამ ამბავმა, და იმათაც, დაივიწყეს რა ყოველი შინაური საქმეები (ხვნა-თესვა და სხვა), ყოველი თვისი ძალ-ღონე პოლიციასთან ერთად ავაზაკის აღმოჩენის საქმეს შეალიეს. ამავე აზრით, ადგილობრივ მთავრობის ნება-რთვით, ეგზეკუციად თვით აფხაზები (თორმეტი საზოგადოება) ჩაუდგა ორს სოფელს „კულანურხვას“ და „ააცის“, სადაც, როგორც გამოაშკარავდა: სცხოვრებდნენ დამნაშავენი. მთავრობამ ამ საქმისა გამო დროებით დააპატიმრა 40 მდე კაცი, ზოგი დამნაშავეთა ნათესავნი, ზოგიც საეჭვონი. უმეტესი ნაწილი დაპატიმრებულთა ავიძბეები იყვნენ. საზოგადოებას და ადმინისტრაციას შრომამა და მხნეობამ ტყუილად არ ჩაუარა: დამნაშავენი-ძმანი სულეიმან და ისმაილ ავიძბუები და მათი სახლის კაცი ჯგვათან ავიძბა აღმოჩენილ და დაპატიმრებულ იქმნენ.

რამ აიძულა ესენი, ამისთანა ბოროტ მოქმედება ჩაუდენიათ? რამდენადაც ეს კითხვა გამორკვეულია, გაგაცნობ მკითხველს. მაისის პირველ რიცხვებში სოფელ კულანუსხვაში უცნობ ბოროტ-მოქმედმა დასჭრა გლეხი მაჟარა აკვაძბა იმ დროს, როცა თავისს ყანაში მარტოკა ჰმუშაობდა. შეიტყო რა უფროსმა ბ-ნმა ჩიქოვანმა, მაშინვე მაგრად მოჰკიდა ხელი ამ საქმეს, მაგრამ საქმის გამოძიებამ დაარწმუნა იგი, რომ დამნაშავის აღმოჩენა ძნელი იყო და ამისთვის მიჰმართა ადათს—ფიცს, მათ მიერ სათაყვანო-საფიცარს ადგილს დიდი რიფშს, და, რადგანაც ეჭვი მიიტანეს ზემოხსენებულ ძმათა ავიძბაიბზედ, ისინიც „დააფიცეს“. ესენი რამდენჯერმე შეევედრნენ ბ-ნს ჩიქოვანს, ფიცისაგან განვათავისუფლე და ეს საქმე გადაეცით გამომძიებელსო. ბ-ნმა ჩიქოვანმა უარი უთხრა. როგორც ამბობენ, იმ დღეს დილით, რა დღესაც დაჰსჭრეს ნაწილის უფროსი, ავიძბეებმა განიმეორესო თავისი თხოვნა, მაგრამ ამაოდ. ავიძბეები ვერ იფიცავდნენ, რადგანაც თავისს თავს დამნაშავედ სთვლიდნენ და ამიტომაც ფიცის მიღებისა ეშინოდათ, და მეორეც თანამოფიცარნიც ვეღარ იშოვეს. აი, რამ არივდარია საქმეები და რომ როგორმე თავიდგან აიცილონ ფიცი, ეს ბოროტ-მოქმედება ჩაიდინესო. ამ საზიზღარ საქმის ჩასადენად მოიწვიესო თავისი მოგვარე ჯგვათან ავიძბა, რომელიც აგერ რამდენიმე წელიწადია ყაჩაღად არის გადავარდნილი. იგი სათათრეთში სცხოვრებდა და იქ კაციც მოუკლავს, გამოქცეულა აფხაზეთში და უღრან ტყეებში თავს ინახავდა. თავისს მხრივაც ჯგვათანი ბ-ნს ჩიქოვანს ემდუროდა, რათა მდევნო, და, ამას გარდა, ჯგვათანის ბიძაშვილი ავკაცობის გამო ბ-ნ ჩიქოვანის მიერ დაპატიმრებულ იქმნა და საპატიმროში გადაიცვალა. ძმ. ავიძბეებმა ჯგვათანის ამ უკმაყოფილობით ისარგებლეს, და ეს საქმე ჩაადენინესო. დამნაშავენი ყველანი დამწყვდეულ იქმნენ ციხეში. აფხაზთ, რომ კანონის არ შეჰშინებოდათ, იქავ გაგლეჯდნენ თავისის უფროსის დამჭრელს!

ჰამუთ-ბეი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. კარდანახი.** წელს საკმაო მოსავალი მოელის ჩვენს სოფელს: ვენახებს საუცხოვოდ ასხია და თუ არა უტყდა რა, გლეხიც და თავადიც ამ შემოდგომაზედ იმისთანა ღვინის მოსავალს ელის, რომ იქნება ჭურჭელიც-კი ვეღარ იშოვნონ. წამლობამ მეტად არგო ვენახებს: ვაზი გაამშვენიერდა, ისეთი საამებელი რქა და ფოთოლი გაიკეთა, რომ თვალი რჩებათ ჩვენს მემამულეთ. ეს მინდორი-კი რაღაც საშინ-ბოროტად გახდა. ვერც უხნავი დამდგარა ადამიანი და თუ მოჰხნავს და გასწევს ჯაფასა და ხარჯს, ყველა ეს ტყუილ უბრალოდ ჩაუვლის ხოლმე, რადგანაც აქ არც პური, არც ქერი, არც სიმინდი რიგიანი არ მოდის. ზოგჯერ თესლსაც ვერა რჩებიან. ან სულ თავს ანებებენ მიწებს, რადგან ხანდახან მიწები სცდება. ფსიქოლოგ თვალით რომ შეჰხედოს ადამიანმა საქმეს, იგულისხმოს უთუოდ გვარი ხარჯი, ჯაფა და წვალება, იმის გარდა სხვა რა დასაკვნას გამოიყვანს, რომ თავისს თავს ატყუებს და თავისის დაუდევნელობით, მოუსაზრებლობით ვალში და გაჩრში ვარდება.

ჯერ იმის ვალი უნდა აიღოს, თუ საქონელი არა ჰყავს, რომ სხვას მოახვნევინოს მიწა და დღიურში სამი მანეთი მისცეს, მერე სათესლე იყიდოს, ან ისესხოს სარგებლით, თუ სიმინდის თოხნაში გასწიოს ხარჯი, მომკა-მოტანა, გალეწვა და სხვა ამ გვარის ჯაფის გაწევასა და ხარჯ-მარჯს რითი აანაზღაურებს?!. წელს კარდანახში პური კოდი ოთხმანეთს ზევით ასულა და სიმინდი ორ-მანეთამდე. არც საკვირველია, თუ ესე მიეჩვევა ხალხი, რომ თითო ლიტრას წვითა და დაგვით აქებს. ჩრდილოეთ კავკასიის დასავლეთ კუთხეშიაც წარსულს წელს მოსავალი არ მოვიდა, ხალხი დაიმშა, მაგრამ ისეთი მშიერობა არა ყოფილა პურისა, როგორც აქ, ჩვენში. გლეხი კაცი, გინდ თავადი, რასაკვირველია, უნდა შესწუხდეს, დანაღვლიანდეს, როცა ცხოვრების ამ გვარს ვითარებაშია. ამ დაღოცვილებს, შეუთვისებიათ უწინდებური ჩვეულება და აზრები და შეურყეველ კანონებად აქვთ მიღებული: მამა-პაპით აგრე ყოფილა და ჩვენ... უნდა მოვიქცეთო. წელს თითქმის ნახევარი მინდორი, კარდანახის ზოლი, ისე დატოვებული: აღარავის უხნავს. ზოგი მიჰხვდა მწარე გამოცდილებით, რომ ჯაფა და ხარჯი ტყუილ-უბრალოა და, მაშასადამე, უნდა შევსდგეთ, მოვისაზროთ, ავწონ-დავწონოთ ყველაფერი და იმისდაგვარად შევიმუშაოთ ჩვენი მამული, როგორც აწინდელი ცხოვრება და ბუნება მოითხოვს.

დ. ბ.

## რუსეთი

—

ფინანსთა სამინისტროს საერო განათლების სამინისტროსთან მოლაპარაკების თანახმად განზრახვა აქვს რამდენიმე საშუალო და დაბალი სატეხნიკო სასწავლებელი დააარსოს რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილას 1899 წელს.

— რადგან მრავალ აფთიაქში, რომელთაც არა-ფარმაცევტნი განაგებენ, ბევრი უწეს-რიგობა აღმოაჩინეს, ამიტომ შუამდგომლობაა აღძრული იმის შესახებ, რომ აფთიაქის დაარსებისა და ან იჯარით აღების უფლება მხოლოდ ფარმაცევტთ მიენიჭოთო.

— მოსკოვის სატეხნიკო სასწავლებელში უადგილობისა გამო არავინ იქმნება მიღებული წელს მეორე და დანარჩენ უმაღლესს კურსებზედ იმათ გარდა, რომელთაც უნივერსიტეტის საფიზიკო-სამათემატიკო ფაკულტეტზედ ექმნებათ სწავლა დამთავრებული. ასეთი მსურველნი მიღებულ იქმნებიან სამექანიკო განყოფილების მეორე კურსზედ.

— ფინანსთა სამინისტროს მიერ შეკრებილ ცნობებიდგანა სჩანს, რომ შარშანდელის მოუსავლობით დაზარალებულთ თესლის სასყიდლად მთლად რუსეთის იმპერიაში დასჭირდებათ 28 მილიონი მან.

## უცხოეთი

—

**ესპანიისა და შეერთებულის შტატების ომი.** ამ ბოლოს დროს ხმელეთზედ ამერიკელებსა და ესპანელებს შორის უფრო ცხარე ბრძოლა წარსულ კვირას მოხდა. შაბათს, შაფტერმა და ლინარესმა ომი ერთის დღით შესწყვიტეს და მოლაპარაკება დაიწყეს, მაგრამ რადგან ვერ მორიგდნენ, ამიტომ კვირას ნაშუადღევის 4 საათსა და 45 წუთს ბრძოლა განაახლეს. პირველად უუმბარები ამერიკელებმა გაისროლეს. ამავე დროს ჯარი ისეთის საშინელის იერიშით მიეიდა ესპანელების სიმაგრეებზედ, რომ ლინარესის ჯარმა პირველ ხანს უკან დაიხია, მაგრამ მალე მოვიდა გონს და მედგრად შეებრძოლა მტერს. ამავე დროს სამხრეთის ესკადრამ ზღვიდგან დაუშინა ქალაქს უუმბარები. ბრძოლამ საღამოს შვიდ საათამდე გასტანა. ორსავე მხარემ მრავალი ჯარის-კაცი დაჰკარგა. ორშაბათს, ამერიკელებმა უუმბარები სანტ-იაგოს სიმაგრეებს დაუშინეს. გაზეთების სიტყვით, ამ დღეს ამერიკელებმა დიდი ზარალი მიაყენეს როგორც სიმაგრეებს, აგრეთვე თვით ქალაქს, სადაც მრავალი სახლი დაინგრა. შეიძლება იქმნებოდა, როდესაც ესპანელებმა ქალაქის თავზედ თეთრი

დროშა აღმართეს და ანიშნეს ამერიკელებს მოლაპარაკება გვინდაო. ამავე დროს ოფიცერი გაგზავნეს შაფტერთან და შეუთვალეს, რომ ქალაქს გიმორჩილებთო.

— იმ ამბავმა, რომ შეერთებულის შტატების მთავრობა ერთს ესკადრას ესპანიის ნაპირებისაკენ ჰგზავნისო, ესპანელები დიდ ფიქრსა და საგონებელში ჩააგდო. მთავრობა ეხლა გაცხარებული ამაგრებს თავის ქვეყნის საზღვაო ქალაქებსა და ნავთ-სადგურებს. ამ დღეებში მადრიდიდგან აურებელი ტყვია-წამალი და თოფ-იარაღი გაგზავნეს ბარსელონასა და სხვა ქალაქებში. ყველა ის იარაღი, რაც საფრანგეთის საზღვართან მდებარე ციხე-სიმაგრეებში არის, ესპანელებს ატლანტიის ნაპირებთან მდებარე ქალაქებში გადააქვთ.

— მადრიდიდგან მოსული დეპეშა იუწყება: „სამხედრო მინისტრმა განაცხადა, ტყუილია ის ამბავი, ვითომ მე დეპეშა გამეგზავნოს სერვერისათვის და შემეთვალოს, რომ ნავთ-სადგურს თავი გაანებე და უშიშვლად ზღვაში გადი-მეთქი. მე ვწერდი სერვერს: როცა შესაძლებელად დაინახო, ზღვაში მაშინ გადი-მეთქი. სერვერმა-კი ესკადრა სწორედ მაშინ გაიყვანა, როდესაც ამერიკელები მარჯვედ იყვნენ და ნავთ-სადგურის გამოსასვლელს უდარაჯებდნენ“. ამავე დროს სერვერი, როგორც მკითხველებმა უკვე იციან, ამბობს, რომ მადრიდიდგან დეპეშით მიბრძანეს ნავთ-სადგურიდგან ესკადრა უშიშვლად გაიყვანეო.

—

**ჩინეთი.** ჩინეთის გაზეთები შემდეგს მეტად საყურადღებო ამბავს იუწყებიან: „ჩინეთის ერთმა ცენზორმა ამას წინად მიართვა იმპერატორს მოხსენება, რომელშიაც სთხოვდა, ნებას ნუ მისცემთ გაზეთებს, რომ მთავრობის მოქმედების შესახებ წერილები დაბეჭდონო. იმპერატორმა შემდეგი პასუხი დააწერა მოხსენებას: ვინც ასეთ გაჭირვების დროს იმდენ ვაჟკაცობას გამოიჩენს, რომ მოხელეებს კეთილ რჩევას მისცემს და იმათ ცუდ საქციელს გაჰკიცხავს, ის მადლობისა და არა საყვედურის ღირსია“-ო.

## დამაკვირდი

ხმა, დიდი ქუხვა და ზგერა ლაშქართა მისცემს მშვილდობას.

იოანე გეგენჰკორი

* * *

მოვალთ გამოსაცდელად საწუთოსა ამას და აჩრდილებრ წარმავალსა ცხოვრებასა.

დავით ჯიბისძე

* * *

ჭინჭველსა არა მალ უც თხოჲ, არცა სესხებაჲ, არამედ თვინიერ ამათსა განრომაჲ (=გამლება, ილად (გზას) წასვლა).

წმ. ეფთვიმე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთს გრაფს, რიკკო დიანოვიჩს 34 წელიწადი გაუტარებია სხვა-და-სხვა ქვეყნების საპატიმროში. სულ პირველად გრაფი დიანოვიჩი ჩასვეს საპატიმროში ქალაქ დანციგში, როდესაც 14 წლისა იყო. გრაფმა იგემა გერმანიისა, რუსეთისა, ბელგიისა, ინგლისისა, საფრანგეთისა, ესპანიისა, იტალიისა, საბერძნეთისა, ოსმალეთისა, ეგვიპტესი, ავსტრალიისა, ინდოეთისა, შეერთებულ შტატებისა, ბრაზილიისა და იაპონიის საპატიმროებში ცხოვრება.

ამ ჟამად გრაფი დიანოვიჩი 48 წლისაა. გრაფი სწერს საყურადღებო წიგნს, რომელსაც სათაურად ექმნება: „34 წელი საპატიმროებში“.

* * *

დიდი ხანი არ არის, რაც ლონდონში გარდაიცვალა ერთი მდიდარი, უცოლშვილო კაცი, რომელსაც შემდეგი ანდერძი დაუგდია: „მთელი ჩემი ქონება მიანდერძებია 8 ქალისათვის, რომელთაც სათითაოდ ვსთხოვე ცოლად გამომყოლოდნენ და უარი მითხრეს“.

ანდერძში სწერია: „რადგანაც ეს ქალები არ დასთანხმდნენ ჩემს ცოლობაზე, ამიტომ შემაძლებინეს ჩემი დღენი მშვიდობიანად გამეტარებინა. დიდი მადლობელი ვარ ამ ქალებისა და ამიტომ მათთვის მიანდერძებია მთელი ჩემი ქონება და ფული“.

* * *

ერთს გერმანულს ჟურნალში სწერია სახელ-განთქმულის პატტის შესახებ: „ამ არტისტის ცხოვრებაო, სწერს ჟურნალი, სწორედ რომ საოცარს ზღაპარსა ჰგავს. ადელინა პატტი დაიბადა თეატრის სცენაზე ოპერის „ნორმას“ ერთის ანტრაქტის დროს სახელოვანის მომღერალის ქალისაგან. ადელინა პატტი ერთსა და იმავე დროს სწავლობდა ლაპარაკსა და სიმღერას. 6 წლისა რომ გახდა, იტალიის რეპერტუარი თითქმის იცოდა. 8 წლისამ მონაწილეობა მიიღო საქველ-მოქმედო კონცერტში და იმღერა ერთი ნომერი ოპერიდგან „სომნაბულა“. 10—12 წლის ადელინა პატტი მთელს ქვეყანაში მოგზაურობდა და თავისის კონცერტებით აკვირვებდა ხალხს. ამ დროს ადელინა პატტის თან დასდევდა იმისი სიძე. ერთხელ, როდესაც ქალაქ ცინცინატში იყვნენ, ადელინამ სთხოვა სიძეს, კარგა მორთული ტიკინი მიყიდეო. სიძემ ამ თხოვნას ყურადღება არ მიაქცია. თეატრში წარმოდგენის დროს ადელინამ განაცხადა, თუ ტიკინი არ მიყიდეთ, ხმასაც არ ამოვიღებ დღესაო. მეტი რა გზა იყო, აფრინეს კაცები და ტიკინი უყიდეს. მეორე იმპერიას რომ ბოლო ელებოდა, სახელ-განთქმული ადელინა პატტი დაბრუნდა პარიჟში და მისთხოვდა მარკიზს კოს, რის გამოც იმპერატორის სასახლეში სიამოვნებით მიიღეს. თეატრის დირექტორები ხომ, რაღა თქმა უნდა, ფულს არ იშურებდნენ ადელინასთვის, მაგრამ ამას გარდა, ბევრნი ერთის საათის გაკვეთილში აძლევდნენ 300—1000 მანათამდე. ერთხელ რუსეთიდგან მოსწერეს, თუ მოხვალთ აქა, თითო წარმოდგენაში 2,500 მან. მოგცემთო, მაგრამ ამავე დროს ინგლისელი აბბე ერთი სამად უფრო მეტს დაჰპირდა და ადელინა ინგლისში წავიდა. მას აქეთ ადელინა თანდათან მდიდრდებოდა და ეხლა სულ ცოტა 7.000.000 მან. ექმნება. ამერიკაში, ბუენოს-ჰაერესში ერთს წარმოდგენაში მისცეს 10.000 მან. ხოლო მონაკოში სულ 3000 მანათს დასჯერდა და ცოტა ფული წააგო კიდეც აქა. რაც უნდა იყოს, ოთხს წარმოდგენაში 12000 მანათიც კაი ფულია. ადელინა პატტის თავისი მშვენიერი სასახლე აქვს უელსში და როდესაც საოცარი მშვენიერი ხმა უღალატებს, სცენას თავს დაანებებს და დედოფალსავით იცხოვრებს. ამ ჟამად ადელინა პატტი უკვე 50 წლისაა.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

7 ივლისი

**პეტერბურგი.** გზათა მინისტრმა გარდასწყვიტა დადგენილ იქმნას, რომ იმ კაცმა, რომელმაც საქონლის ჩაბარების დროს შეიტყო, რომ საქონლის გადატანის ფული მეტი გამოართვეს, უნდა ამის შესახებ განსაკუთრებული განცხადება შეიტანოს, ამ განცხადების შეტანის ბარათი მიიღოს და ამ ბარათის, შემწეობით საქმე აწარმოვოს.

**ოდესსა.** ბოლგარიის მთავარი ფერდინანდი მეუღლისა და ბატონიშვილის ბორისითურთ მოვიდა 12 საათზედ „რიკლიკ“-ის ხომალდით და 1 საათსა და 17 წუთს საიმპერატორო მატარებლით პეტერბურგში წავიდა. წყლის ნაპირი ბაირაღებითა და ყვავილების ხვეულებით იყო მორთული. დაესწრნენ მოხელენი, სხვა-და-სხვა დაწესებულების წარმომადგენელნი და პეტერბურგიდგან გამოგზავნილი კაცები. მთავართან ერთად მოვიდნენ: მინისტრ-პრეზიდენტი, სამხედრო მინისტრი, ბატონიშვილის ბორისის მოძღვარი მამა ვასილი და ამალა. ქალაქის მოურავმა მიართვა მთავარს პურ-მარილი, დედოფალს—ვარდის კონა და სიტყვით მიეგება მთავარს. შემდეგ მთავარს წარუდგნენ ოდესსაში მყოფ ბოლგართა და სლავიანთა საზოგადოების წარმომადგენელნი. თავადი, თავადის მეუღლე, ბატონიშვილი ბორისი, რომელსაც რუსეთის ზღვაოსნის ტანისამოსი ეცვა, და ამალა გემიდგან ნაპირზედ გადმოვიდნენ. მუსიკამ ბოლგარიის საერო საგალობელი დაუკრა. შემდეგ მიესალმარა საპატიო დარაჯს, მთავარი გაემართა სამეფო ფარდულთან გაჩერებულ საიმპერატორო მატარებლისაკენ და პეტერბურგში წავიდა.

**პეტერბურგი.** კუბანის ოლქის უფროსის თანაშემწეს გენერალ-მაიორს იაცკევიჩს ებოძა გენერალ-ლეიტენანტობა და დანიშნულ იქნა ყარსის ციხის კომენდანტად.

**მადრიდი.** ესპანიის შინაური ვითარება დიდად გაჭირვებულს მდგომარეობაშია, თუმცა ამბოხების შესახებ არაფერი ისმის. მთავრობა ყოველს ღონესა ჰღონობს, რომ კარლისტებმა ამბოხება არ მოახერხონ.

**ვერსალი.** ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს წინაშე განხილულ იქმნა საჩივარი იმ ცილის წამების შესახებ, რომელიც ზოლას წინააღმდეგ აღძრა პირველმა სამხედრო სასამართლომ. თავმჯდომარეობს საააპელაციო სასამართლოს პირველი თავმჯდომარე პერივიე. ბრალმდებლად არის მთავარი ბრალმდებელი ბერტრანი. ვექილმა ლაბორიმ, მსაჯულთა წევრების ამორჩევამდე, წარადგინა თავისი დასკვნა, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ სამხედრო საბჭოს წევრების მიერ ზოლას წინააღმდეგ აღძრულ საჩივარს არავითარი კავშირი არა აქვს სამოქალაქო დავასთანაო. ბრალმდებელმა ბერტრანმა მოითხოვა, რომ ლაბორის დასკვნა უარ-ყოფილ იქმნას. ლაბორის პასუხის შემდეგ სასამართლო სათათბიროდ გავიდა. ლაბორის დასკვნა უარ-ჰყვეს. ლაბორიმ წარადგინა ახალი დასკვნა, რომელშიაც ამტკიცებდა, რომ დრეიფუსისა და ესტერგაზის საქმეებს შორის მჭიდრო კავშირიაო. სასამართლომ უარ-ჰყო ლაბორის დასკვნა და დაადგინა შეუდგეს მსაჯულთა ამორჩევას. იმის გამო, რომ ზოლას ახალი დასკვნა უარ-ყოფილ იქმნა, ზოლამა და ტერრენმა განაცხადეს, რომ არა გვსურს საქმის გარჩევას დავესწროთო. ამასთან ორივე დარბაზიდგან გავიდა. ლაბორიმ მოითხოვა, ნება მომეცით საკასაციო საჩივარი შევიტანო სასამართლოს აწინდელ დადგენილებათა გამო და ეს საჩივარი შეაჩერებს საქმის გარჩევასაო. მთავარმა ბრალმდებელმა ამის წინააღმდეგ მიუგო. სასამართლომ დაადგინა, რომ საჩივარი საქმის გარჩევას არ უშლისო. ლაბორიმ განაცხადა, რომ რადგან საქმე ასეა, არ დავესწრები გარჩევასაო. ლაბორი წავიდა.

სასამართლომ მიუსაჯა ზოლას ერთის წლით დაპატიმრება და 3,000 ფრანკი ჯარიმის გარდახდევინება.

ზოლას საქმის გარჩევის დროს მომხდარ შეტაკებისა გამო, დერულედმა და გიუბარმა ერთმანეთი საბრძოლველად გამოიწვიეს. ბრალდებულთა მომხრეებისა და მოწინააღმდეგების ყვირილი ჩხუბად გარდაიქცა. რამდენიმე კაცი დაპატიმრებულ იქმნა. როდესაც აფიცრები გამოდიოდნენ, ჯარის პატივსაცემელი ყვირილი გაისმა. ზოლას ეტლი ჟანდარმებმა გააცილეს.

8 ივლისი

**კიევი.** 7 ივლისს საიმპერატორო მატარებლით ოდესიდგან აქ მოვიდა ბოლგარიის მთავარი, მთავრის მეუღლე და ბატონიშვილი ბორისი, მათ მიეგებნენ გენერალ-გუბერნატორი, გუბერნატორი, კომენდანტი და სამხედრო და სამოქალაქო უწყებათა წარმომადგენელნი მატარებლის გაჩერებისათანავე მთავარი გადმოვიდა ვაგონიდგან და სალამი მისცა გენერალ გუბერნატორს. წარუდგნენ აგრეთვე იქ დამსწრენი და შემდეგ გენერალ-გუბერნატორსა და გუბერნატორთან ერთად მთავარი შევიდა ისევ ვაგონში. საუბარმა 8 წუთს გასტანა. გამოეთხოვა-რა დამსწრეთ მთავარი მატარებელი გზას გაუდგა.

**იოკოჰამა.** სეულიდგან ცნობა მოვიდა, რომ ამერიკის მინისტრ-რეზიდენტისა და სამინისტროს შორის მოლაპარაკების თანახმად უნდა დანიშნულ იქმნენ ამერიკის მოხელეები კორეიაში, რომელნიც შეუდგებიან ხიდისა და სხვა შენობათა აგებას.

**პარიჟი.** ვერსალში საქმის გარჩევის შემდეგ სენ-კლუბი დერულედსა და გიუბარის შორის დუელი მოხდა შპაგებით. რადგანაც გიუბარმა მარცხენა ხელი სტაცა დერულედის შპაგას, ამიტომ სეკუნდანტებმა შეაჩერეს მოწინააღმდეგენი და დაადგინეს ოქმი შეადგინონ იმის შესახებ, რომ გიუბარს ნება აღარ აქვს დუელში გავიდეს.

**პარიჟი.** ხმა დადის, რომ ზოლა დილის 6 საათზედ გაჰქრა სახლიდგან და აღარ დაბრუნებულა. ზოგი ჰფიქრობს, რომ ზოლა ჟენევაში გაიქცაო; ზოგი ამბობს, რომ ბრიუსელში წავიდაო, ზოგი კიდევ გაიძახის, რომ საფრანგეთიდგან არ გასულა, მაგრამ თავს იმალავს, რომ საპატიმროში არ ჩასვან ოქტომბრამდე, როდესაც საქმე ხელ-ახლა გაირჩევა.

—✦✦—

## წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში გამოაცხადოთ, რომ „ივერიის“ 77 № დაბეჭდილი წერილი მე არ მეკუთვნის და არც არავითარი ცნობა მომიწერია „ივერიისათვის“ ბ-ნ სტაგო (იგივე პლატონ) კალანდარიშვილის მიერ კაცის მოკვლის შესახებ. *)

თქვენი პატივის მცემელი ნ. ჯანაშია

*) ვაცხადებთ, რომ „ივერიის“ ამ წლის მე-77 №-ში დაბეჭდილი ოზურგეთიდგან მოწერილი წერილი ბ-ნს ჯანაშიას არ ეკუთვნის.

რედ.

## განცხადებანი

ПРЕДОСТЕРЕЖЕНІЕ.
ВЫСОКІЯ ДОСТОИНСТВА НАШИХЪ ИЗОБРѢТЕНІЙ:
Цвѣточнаго о-де-колона,
Глицериновой пудры,
усовершенствов. Глицериноваго мыла
и парфюмеріи „Персидская сирень“,
вызываютъ массу подражателей, что и вынуждаетъ насъ просить гг. покупателей обращать вниніе на нашу фабричную марку и фирму.
Би Ко. Би Ко. БРОКАРЪ и Ко ВЪ МОСКВѢ. ФАБРИЧН. ШТЕМПЕЛЬ УТВЕРЖД. ПРАВИТЕЛ. 1864 г. 1864 г.

(11—მ.—2)

კელერის განუკეთესებული
კოლდ-კრემი, ტუჩების პომადა და ბრილიანტინი
რაზედაც უნდა იყოს ხმარებული, ყოველთვის იჩენს თავისს გასაოცარს ღირსებას. ისყიდება ყველგან და ყველა უფრო საუკეთესო ვაჭართან.
(3—6.—1)

КЪ ВОПРОСУ
О поднятіи образованія среди грузинскаго дворянства.
გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. წმინდა შემოსავალი დანიშნულია სასარგებლოდ დამშეულთა საქართველოში და რუსეთში. ფასი ერთი აბაზი. ვინც ათს წიგნს ან მეტს იყიდის, იმას წიგნი დაეთმობა 14 კაპეიკად. მყიდველთ უნდა მიჰმართონ ხსენებულს მაღაზიას. (12—1)

Дозволено цензурою, Тифлисъ 8 го Іюля. 1898 г.
სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.